დანართი 5

შპს უსაფრთხოების აკადემია

<u>დამტკიცებულია:</u>

კოლეჯის საბჭოს თავმჯდომარე:

დავით მაზმიშვილი

08/02/ 2024 წ.

კოლეჯის საბჭოს დებულება

თბილისი 2024

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.1. კოლეჯის შპს „უსაფრთხოების აკადემია“ (შემდგომში - კოლეჯი) საბჭო (შემდგომში - საბჭო) წარმოადგენს კოლეჯის უმაღლეს სათათბირო და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს.

1.2. საბჭო საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, კოლეჯის დებულებით და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 2. საბჭოს შემადგენლობა და უფლებამოსილება

2.1. საბჭოს შედგება შემდეგი წევრებისგან:

2.1.1. კოლეჯის დამფუძნებელი/ები;
2.1.2. კოლეჯის რექტორი;
2.1.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამის/ების ხელმძღვანელი/ები;
2.1.5. სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე;
2.1.6. საბჭოს სხვა მოწვეული საპატიო წევრი/ები.

2.2 კოლეჯის საბჭოს უფლებამოსილება:

2.2.1 შეიმუშავებს და ამტკიცებს კოლეჯის განვითარების ძირითად მიმართულებებს, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს'

2.2.2 ამტკიცებს კოლეჯის სტრუქტურას, იღებს გადაწყვეტილებებს კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, აგრეთვე - საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის თაობაზე;

2.2.3აცხადებს თანამდებობის დასაკავებელ კონკურსს, ამტკიცებს კონკურსის პირობებს, წესს და საკონკურსო კომისიის შემადგენლობას, კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის გამარჯვებულების თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ;

2.2.4 ამტკიცებს საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს;

2.2.5 ამტკიცებს კოლეჯის დებულებას, კოლეჯის შინაგანაწესს, კოლეჯის საბჭოს რეგლამენტს, ეთიკის კოდექსს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, მათი საქმიანობის მარეგულირებელ სხვა ნორმატიულ აქტებს, სასწავლო პროცესის რეგულირების წესს;

2.2.6ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო პროცესის შეფასების წესს;

2.2.7 ირჩევს და ამტკიცებს კოლეჯის რექტორს.

მუხლი 3. საბჭოს თავმჯდომარე

3.1. საბჭოს საქმიანობას წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე;
3.2. საბჭოს თავმჯდომარე ირჩევა სამი წლის ვადით;
3.3. საბჭოს თავმჯდომარედ ერთი და იგივე პირი შეიძლება ზედიზედ არჩეულ იქნას მხოლოდ ორჯერ;
3.4. საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურა სახელდება საბჭოს შემადგენლობიდან საბჭოს წევრის/ების წარდგინების საფუძველზე;
3.5. საბჭოს თავმჯდომარე ირჩევა ღია კენჭისყრის წესით საბჭოს შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.
3.6. საბჭოს თავმჯდომარე:

3.6.1 უზრუნველყოფს საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას;

3.6.2იწვევს და თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს;

3.6.3 საბჭოს სახელით ხელს აწერს შესაბამის დოკუმენტაციას.

მუხლი 4. საბჭოს მდივანი

4.1. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას და საქმისწარმოებას ახორციელებს საბჭოს მდივანი;
4.2. საბჭოს მდივანი საბჭოს მიერ ირჩევა კოლეჯის საბჭოს შემადგენლობიდან;
4.3. საბჭოს მდივნის კანდიდატურას ასახელებს საბჭოს თავმჯდომარე;
4.4. საბჭოს მდივანი ირჩევა ღია კენჭისყრის წესით დამსწრე წევრთა უმრავლესობით.
4.5. საბჭოს მდივანი:

4.5.1. უზრუნველყოფს საბჭოს სახელზე შემოსული განცხადებების, წერილების და დოკუმენტების აღრიცხვა-შენახვას;
4.5.2. ამზადებს საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების პროექტს და უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას;
4.5.3. აწარმოებს და ხელს აწერს საბჭოს სხდომის ოქმს;
4.5.4. აწარმოებს საბჭოს არქივს.

მუხლი 5. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.

5.1. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების/შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბჭო.

5.2. შეჩერება/შეწყვეტასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობის და კოლეჯის ნორმატიული აქტების საფუძველზე.

მუხლი 6. საბჭოს სხდომების ჩატარების წესი.

6.1. საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, ამასთან არანაკლებ წელიწადში ორი სხდომისა.

6.2. საბჭოს თავმჯდომარე სხდომას იწვევს საკუთარი ან საბჭოს წევრი/ების ინიციატივით.

6.3. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

6.4. საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრის წესით სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით, ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

6.5. საბჭოს მოწვეული წევრები სარგებლობენ ხმის უფლებით.

6.6. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი ხმების რაოდენობა იანგარიშება საბჭოს სიითი შემადგენლობიდან უფლებამოსილებაშეჩერებულ წევრთა რიცხვის გამოკლებით

6.7. დაინტერესებულ პირთა მხრიდან საბჭოს სხდომაზე დასწრების სურვილის შემთხვევაში, სხდომაზე ან მის ცალკეულ სექციაზე დაშვების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბჭო.

6.8. საბჭოს სხდომის შესახებ ფორმდება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

6.9. საბჭოს სხდომების ოქმების შენახვას ახორციელებს საბჭოს მდივანი, არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგ გადაეცემა კოლეჯის არქივს.

მუხლი 7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის საზოგადოების ინიციატივის კოლეჯის საბჭოს მხრიდან განხილვისა და დამტკიცების გზით.